ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 481/2018

ქ. თბილისი „ 09 “ ნოემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს “აგროჰაბი”** (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჯაშიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გამარტივებული შესყიდვი საშუალებით, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის **სასმელების, თამბაქოსა და მონათესავე პროდუქტების (CPV 15900000)** მიწოდება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა - 2018 წლის სახელმწიფო ბიჯეტის სახსრები.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაწევის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული საქონელი 2018 წლის 31 დეკემბრამდე, პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4. ანგარიშსწორება

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და/ან სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან.

5. ფასები

მოწოდებული საქონლის ფასი განისაზღვრება ფაქტიურად განხორციელებული მიწოდების მომენტში, მიმწოდებლის მიერ, აღნიშნულ საქონელზე დადგენილი ფასის შესაბამისად.

6. სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს “აგროჰაბი”**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: 220101222 ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900	მის: თბილისი მარშალ გელოვანის #22 ს/კ - 404502090 მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ ბ.კ. BAGAGE22 ს/ა - GE70BG0000000567056700
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **გიორგი ჯაშიაშვილი**